საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/104

ქ. ბათუმი 19 ოქტომბერი, 2021 წ.

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერის თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №27 გადაწყვეტილების და **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანების** საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანების გამოცხადებული** ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერის თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობა **დანართი 1**–ის შესაბამისად.

2. საკონკურსო და სააპელაციო კომისიების უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2021 წლის 20-21 ოქტომბერს** (შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2021 წლის 22 ოქტომბრისა).

3. **საკონკურსო კომისიებს ეთხოვოს „ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერის თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის“, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №27 გადაწყვეტილებისა და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.**

4. **წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საქმისწარმოების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ** *დეპარტამენტს,* აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, *საკონკურსო და სააპელაციო კომისიის წევრებს.*

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 17 სექტემბრის №01-02/156 ბრძანებით გამოცხადებული ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მემბრანული განყოფილების მთავარი მეცნიერის თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N06-01/104 დადგენილების

დანართი 1.

საკონკურსო კომისია:

1. გურამ პაპუნიძე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თავმჯდომარე;
2. ზურაბ მიქელაძე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, წევრი;
3. ნინო მხეიძე - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, მდივანი.

საკონკურსო სააპელაციო კომისია:

1. ავთო ცინცქილაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თავმჯდომარე;
2. იამზე ჩხარტიშვილი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, წევრი;
3. ნუნუ კუტალაძე - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მდივანი.